საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
MUNICIPAL DEVELOPMENT FUND OF GEORGIA

3614-გ-2-201912131609

N 3614-გ 13/12/2019

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის
დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურ
დირექტორს ნიკოლოზ ანთიძეს

ბატონო ნიკოლოზ,

გაცნობებთ, რომ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებს გურჯაანისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში, სოფ. ველისციხიდან სოფ. კაკაბეთამდე (ცენტრალური მაგისტრალიდან სოფ. ჭერმის გავლით) გზის რეკონსტრუქციისა და მდინარე ჭერმისხევზე ორი ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობის პროექტირებას. აღნიშნულ საკითხზე მიმდინარეობს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების გავლა, კერძოდ მზადდება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესაბამისად.

გარდა ამისა, აგრეთვე ჩატარდა პროექტის განხორციელებისა და მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული ისტორიულ-არქიტექტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე შესაძლო ზემოქმედების შეფასების ექსპერტიზა. საექსპერტო ჯგუფმა 2019 წელს ჩაატარა აღნიშნული სამუშაოები და გადმოგვცა დასკვნა, რომლის მიხედვითაც გამოიკვეთა შემდეგი:

- საპროექტო დერეფანსა და მის მიმდებარე ვრცელ ტერიტორიაზე არქიტექტურის ძეგლები საერთოდ არ ფიქსირდება. უახლოესო ძეგლები, საკმაო მანძილით არის დაცილებული საპროექტო გზას.
- სარეაბილიტაციო გზის დერეფნის ვიზუალური დაკვირვების შედეგად არქეოლოგიური ობიექტის ნაშთები და არტეფაქტები არ დადასტურდა. ასევე, შესაბამის ლიტერატურაშიც, აღნიშნულ ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი არ ფიქსირდება და არქეოლოგიური კვლევა-ძიება არ ჩატარებულა.

გთხოვთ, თანდართული ანგარიშისა და საექსპერტო დასკვნების საფუძველზე, გამოხატოთ თქვენი პოზიცია აღნიშნული პროექტების განხორციელების მიზანშეწონილობის შესახებ, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე მათი შესაძლო ზემოქმედების კუთხით.

დანართი: 18 გვერდი.

პატივისცემით,

ბექა თორია

პროგრამის მენეჯერი ADB

დ. აღმაშენებლის გამზ. №150
0112, თბილისი, საქართველო
ტელ. (+99532) 2437001/02/03
ფაქსი: (+99532) 2437077
ელ. ფოსტა: mdf@mdf.org.ge
ვებ გვერდი: www.mdf.org.ge

№150 D. Aghmashenebeli Ave.
0112, Tbilisi, Georgia
Tel: (+99532) 2437001/02/03
Fax: (+99532) 2437077
E—mail: mdf@mdf.org.ge
Web: www.mdf.org.ge

დირექცია

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia

KA990111118067219

№17/5450 **23 / დეკემბერი / 2019 წ.**

საქართველოს მუნიციპალური განვითრების ფონდის პროგრამის მენეჯერს ADB ბექა თორიას

ბატონო ბექა,

თქვენი ა/წ 13 დეკემბრის წერილის #3614-გ პასუხად, რომელიც ეხება, გურჯაანისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში, სოფელ ველისციხიდან სოფელ კაკაბეთამდე (ცენტრალური მაგისტრალიდან სოფ.ჭერმის გავლით) გზის რეკონსტრუქციის მშენებლობის პროექტს (GPS კოორდინატები: X – 545319.13; Y – 4616361.48; X – 561579.90; Y – 4628099.85) და ამ ტერიტროიაზე კულტურული მემკვიდრეობის და არქეოლოგიური ძეგლების დადგენის მიზნით ჩატარებული კვლევებს, გაცნობებთ, რომ სააგენტოში წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, ტერიტორიის ვიზუალური დათვალიერების შედეგად, საპროექტო ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ, არქეოლოგიური ნიშნის მქონე ობიექტები და არტეფაქტები არ ფიქსირდება.

აქვე გაცნობებთ, რომ კაკაბეთი-ჭერამი-ზეგნის სარეაბილიტაციო გზა გადის სოფლებზე, სადაც დაფიქსირებულია რამოდენიმე არქიტექტურული ძეგლი. ანგარიშიდან გამომდინარე, დაგეგმილი სამუშაოების პროცესი უარყოფით ზემოქმედებას ვერ მოახდენს ზემოხსენებულ არქიტექტურულ ძეგლებზე.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გეძლევათ დადებითი დასკვნა დაგეგმილი სამუშაოების ჩატარების თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ სამუშაოთა მიმდინარეობის დროს არქეოლოგიური ობიექტის აღმოჩენის შემთხვევაში, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, უნდა შეწყდეს სამუშაოები და ამის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (ამ ეტაპზე-სააგენტოს).

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

დავით ლომიტაშვილი